## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

# უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა

2020

# კვლევის მიზანი და ობიექტი

## ❖ მიზანი

კვლევის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე დამსაქმებელთა მოთხოვნის გამოვლენა, რომლის გათვალისწინება შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

## ❖ კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტია იმ პროფესიული უნარების შესწავლა, რომლებსაც მოითხოვს დამსაქმებელი და რომლებიც აუცილებელია ინდივიდის დასაქმებისთვის.

# კვლევის ამოცანები

ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების და პროფესიული ჯგუფების მიხედვით:

- ✓ დასაქმების ზოგად სტრუქტურაზე ინფორმაციის მოპოვება;
- ✓ დამსაქმებლის მიერ დასაქმებული სამუშაო ძალის უნარების შეფასება;
- ✓ არსებული/პოტენციური ვაკანსიების გამოვლენა;
- ✓ ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეების შესწავლა;
- ✓ უნარების გათვალისწინებით ვაკანსიებზე შეთავაზებული ანაზღაურების შესწავლა;
- ✓ ახალი კადრის აყვანისას საწარმოთა მიერ გამოყენებული ინფორმაციის წყაროების შესწავლა;
- ✓ დამსაქმებლის მიერ სწავლებასა და გადამზადებაზე გაწეული საქმიანობის შესწავლა;
- ✓ დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასების შესწავლა პროფესიული ჯგუფების მიხედვით;
- ✓ პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების ტენდენციების, ასევე პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ტენდენციების გამოვლენა;
- ✓ საწარმოებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებაზე ინფორმაციის მოძიება.
- ✓ დამწყები მუშახელის დასაქმების ტენდენციების გამოვლენა.

# კვლევის მეთოდოლოგია

- შერჩევის დიზაინი: რეგიონი; საწარმოს ზომა;. NACE Rev2
- შერჩევის მოცულობა: 9,000 საწარმო
- სარეზერვო საწარმოთა რაოდენობა: 2,500
- ცდომილება სექციის დონეზე ≤ 4%-ზე

- გენერალურ ერთობლიობაზე გამოკვლევის შედეგების განზოგადების მიზნით განხორციელდა მონაცემების შეწონვა

| საწარმოს ზომა | რაოდენობა გენერალურ ერთობლიობაში | შერჩეულთა რაოდენობა | რეზერვი | გამოკითხვა რეგიონულ ჭრილში | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 53,141 | 9,000 | 2,500 | თბილისი 3,520 კომპანია | მონაცემთა შეგროვება კომბინირებულად:<br>▪ ონლაინ კითხვარი – 2,700 კომპანია<br>▪ პირდაპირი ინტერვიუ – 6,300 კომპანია |
| მსხვილი | 367 | 367 | - | | |
| საშუალო | 1,807 | 1,807 | - | სხვა დანარჩენი 5,480 კომპანია | |
| მცირე | 50,967 | 6,826 | 2,500 | | |

გენერალური ერთობლიობა წარმოადგენს მოქმედი ფინანსური და არაფინანსური კორპორაციების მონაცემთა ბაზას

# 1: დასაქმების სტრუქტურა

# დასაქმებულთა რაოდენობა და განაწილება რეგიონებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით

## დასაქმებულთა რაოდენობა

**დასაქმებულთა რაოდენობა 816,174**

| | | |
|---|---|---|
| სრული განაკვეთი | 793,697 | (97.2%) |
| ნახევარი განაკვეთი | 22,477 | (2.8%) |

## დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით




2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა საერთო რაოდენობამ 816.174 პირი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.9%-ით აღემატება. დასაქმებულთა 97.2% სრულ განაკვეთზე, ხოლო 2.8% არასრულ განაკვეთზე დასაქმებულებს წარმოადგენენ. დასაქმებულთა 45% მცირე, 34.7% მსხვილ, ხოლო 20.3% საშუალო საწარმოზე მოდის.

## დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით

თბილისი 529,053

იმერეთი 54,338

სამეგრელო 31,296

შიდა ქართლი 19,240

სამცხე-ჯავახეთი 12,723

რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი 2,665

64.8% 9.2% 6.7% 5.3% 3.8% 3.1% 2.4% 1.7% 1.6% 1.1% 0.3%

აჭარა 75,419

ქვემო ქართლი 42,956

კახეთი 24,914

მცხეთა-მთიანეთი 14,197

გურია 9,371

# სრულ და არასრულ განაკვეთზე დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით

სრული განაკვეთი – 793,697 ადამიანი (94,4%)

2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სრულ განაკვეთზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.9%-ით აღემატება, ხოლო არასრულ განაკვეთზე დასაქმებულთა რაოდენობა 5.3%-ით.




არასრული განაკვეთი – 22,477 ადამიანი (5.6%)

თბილისის შემდეგ (15,100 დასაქმებული), ყველაზე მეტი არასრულ განაკვეთზე დასაქმებულით მცხეთა-მთიანეთის რეგიონი (1,345 დასაქმებული) გამოირჩევა, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში დაფიქსირდა.

# დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით

| საქმიანობის სახე | რაოდენობა | წილი |
|---|---|---|
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა | 205,300 | 25.2 % |
| საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | 45,885 | 5.6 % |
| უძრავი ქონება | 18,604 | 2.3 % |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 93,945 | 11.5 % |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 27,173 | 3.3 % |
| ენერგეტიკა | 15,355 | 1.9 % |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება | 80,442 | 9.9 % |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 26,829 | 3.3% |
| წყალმომარაგება | 14,573 | 1.8 % |
| მშენებლობა | 79,672 | 9.8 % |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 26,671 | 3.3 % |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 12,928 | 1.6 % |
| ტრანსპორტირება და დასაწყობება | 59,632 | 7.3 % |
| განათლება | 23,730 | 2.9 % |
| სხვა სახის მომსახურება | 9,192 | 1.1 % |
| სასტუმროები და რესტორნები | 47,474 | 5.8 % |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 19,742 | 2.4 % |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 9,027 | 1.1 % |

- დასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილით საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა – 25.2%. (დასაქმებულთა რაოდენობის ზრდამ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 6.2% შეადგინა);
- დასაქმებულთა რაოდენობის ყველაზე მაღალი ზრდა ICT სექტორში დაფიქსირდა – 18.2%. აგრეთვე, ორნიშნა ზრდა დაფიქსირდა ჯანდაცვის სექტორში – 14.2%.
- დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება მხოლოდ 2 სექტორში დაფიქსირდა: უძრავი ქონება (-4%) და საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (-3.4%).

# დასაქმებულთა განაწილება ISCO-ს ძირითადი პროფესიული ჯგუფების, სქესის და განათლების მიხედვით

## დასაქმებულთა რაოდენობა და წილი პროფესიული ჯგუფების მიხედვით




**დასაქმებულებს** შორის, **ISCO-ს ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით,** ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით სპეციალისტები (20.4%) გამოირჩევიან. ასევე ორნიშნა პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდებიან მენეჯერები (19.6%), მომსახურებისა და სავაჭრო დაწესებულებების პერსონალი (16,2%), ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები (10.9%) და დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი (10.3%).

## დასაქმებულთა განაწილება სქესის მიხედვით




## დასაქმებულთა განაწილება განათლების დონეების მიხედვით

| | | |
|---|---|---|
| უმაღლესი | 471,931 | 57.8% |
| საშუალო | 228,843 | 28% |
| პროფესიული | 115,40 | 14.2% |

# დასაქმებულთა პირველი ტოპ ათეული ISCO-ს ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

**01** მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები – 61,037

**02** ბუღალტრები – 39,647

**03** ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები – 27,461

**04** მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები – 27,439

**05** გაყიდვების წარმომადგენლები – 25,168

**06** გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები – 21,921

**07** უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები – 20,251

**08** მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები – 19,923

**09** სპეციალისტი ექთნები – 17,550

**10** სატვირთო ავტომობილების მძღოლები – 15,057

დასაქმებულებს შორის რაოდენობრივი თვალსაზრისით, **ISCO-ს ელემენტარული პროფესიული ჯგუფების დონეზე,** მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები გამოირჩევიან, მათი რაოდენობა 61,037, რაც სულ დასაქმებულთა 7.5%-ია, შემდეგ მოდიან ბუღალტრები – 39,647 (4.9%), დამლაგებლები – 27,461 (3.4%) და მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები – 27,439 (3.4%).

# ISCO-ს ძირითად პროფესიულ ჯგუფებში პირველი ტოპ ხუთეული დასაქმებულები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## 1 მენეჯერები

1. მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები - 61,037
2. გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები - 21,921
3. კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები - 18,813
4. მომარაგების, დისტრიბუციისა და მონათესავე სფეროების მენეჯერები - 10,104
5. ფინანსური მენეჯერები - 9,732

## 2 სპეციალისტები

1. ბუღალტრები - 39,647
2. სპეციალისტი ექთნები - 17,550
3. მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები - 13,782
4. მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსები - 11,210
5. ინჟინერ-ელექტრიკოსები - 6,880

## 3 ტექნიკოსები

1. პროცესის კონტროლის ტექნიკოსები (ოპერატორები) - 5,961
2. საკრედიტო და სესხის ოფიცრები - 5,476
3. კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები - 4,335
4. საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები - 4,328
5. ელექტროტექნიკოსები - 4,076

## 4 ოფისის პერსონალი

1. ოფისის დამხმარე პერსონალი - 11,415
2. ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები - 8,664
3. საწყობის კლერკი - 6,595
4. ტოტალიზატორის ოპერატორები (ბუკმეკერები), ბანქოს დამრიგებლები (კრუპიეები) და აზარტული თამაშების სფეროში დასაქმებული სხვა პირები - 6,133
5. ოფისის ზოგადი კლერკები - 5,240

## 5 მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი

1. მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები - 27,439
2. გაყიდვების წარმომადგენლები - 25,168
3. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები - 20,251
4. მოლარეები და ბილეთების კონტროლიორები - 11,724
5. მზარეულები - 9,327

ISCO-ს ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით გამორჩეულია შემდეგი ელემენტარული ჯგუფები: *მენეჯერებში* – მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები, *სპეციალისტებში* – ბუღალტრები, ტექნიკოსებში – პროცესის კონტროლის ტექნიკოსები, *ოფისის პერსონალში* – ოფისის დამხმარე პერსონალი, *მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალში* – მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები

# ISCO-ს ძირითად პროფესიულ ჯგუფებში პირველი ტოპ ხუთეული დასაქმებულები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## 6

### სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები

1. სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველური პროდუქციის ასორტიმენტის მწარმოებლები - 698
2. შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები - 673
3. მებაღეები, სანერგე მეურნეობის სპეციალისტები - 518
4. მეფრინველეები - 398
5. მემინდვრეები და მებოსტნეები - 278

## 7

### ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები

1. მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები - 19,923
2. პურის მცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები - 5,929
3. ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი მუშები - 5,744
4. ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები - 4,920
5. მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების ხელოსნები - 4,224

## 8

### სამრეწველო დანადგარების/ მანქანების ოპერატორები და ამწყობები

1. სატვირთო ავტომობილების მძღოლები - 15,057
2. მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები - 12,342
3. სტაციონალური დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები - 4,770
4. ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლები - 3,787
5. ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები - 2,861

## 9

### დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელი

1. დამლაგებლები და დამხმარეები - 27,461
2. სამრეწველო სფეროს მუშები - 12,849
3. მეეზოვეები და მსგავსი დაბალი კვალიფიკაციის მუშები - 6,202
4. მტვირთავები - 6,145
5. დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას - 5,856

**ISCO-ს ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით გამორჩეულია შემდეგი ელემენტარული ჯგუფები:** სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ მუშაკებში – **სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ცხოველური პროდუქციის ასორტიმენტის მწარმოებლები**; ხელოსნებსა და მონათესავე პროფესიების მუშაკებში – **მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები**; სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორებსა და ამწყობებში – სატვირთო ავტომობილების მძღოლები; დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელში – **დამლაგებლები და დამხმარეები.**

# დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ძირითადი და ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით

| | |
|---|---|
| მენეჯერები | 2,296 ₾ |
| სპეციალისტები | 1,206 ₾ |
| ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | 1,138 ₾ |
| ოფისის პერსონალი | 903 ₾ |
| მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი | 681 ₾ |
| სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები | 659 ₾ |
| ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები | 986 ₾ |
| სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები | 984 ₾ |
| დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი | 520 ₾ |

## ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

| | |
|---|---|
| თვითმფრინავების პილოტები | 5,184 ₾ |
| საგემბანე ოფიცრები და ლოცმანები | 4,195 ₾ |
| მართვისა და ორგანიზაციული ანალიტიკოსები | 2,896 ₾ |
| მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები | 2,828 ₾ |
| ფინანსური და საინვესტიციო მრჩევლები | 2,659 ₾ |
| მშენებლობის მენეჯერები | 2,599 ₾ |
| პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები | 2,454 ₾ |
| სამთო-ინჟინრები და მეტალურგები | 2,310 ₾ |
| კვლევისა და განვითარების მენეჯერები | 2,242 ₾ |

- 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი, ISCO-ს ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, მენეჯერებს აქვთ - 2,296 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6.9%-ით აღემატება. ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელის ჯგუფის წარმომადგენლებს აქვთ - 520 ₾ (წინა წლის მაჩვენებელს 6.7%-ით აღემატება).
- ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი, ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით, თვითმფრინავების პილოტებს აქვთ - 5,184₾, ხოლო ყველაზე დაბალი კარდაკარ მოსიარულე გამყიდველებს - 207₾.

# დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## 1 მენეჯერები

1. მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები - 2,828 ₾
2. მშენებლობის მენეჯერები - 2,599 ₾
3. პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები - 2,454 ₾
4. კვლევისა და განვითარების მენეჯერები - 2,310 ₾
5. ფინანსური მენეჯერები - 2,242 ₾

## 2 სპეციალისტები

1. მართვისა და ორგანიზაციული ანალიტიკოსები - 2,896 ₾
2. ფინანსური და საინვესტიციო მრჩევლები - 2,659 ₾
3. სამთო-ინჟინრები და მეტალურგები - 2,432 ₾
4. პოლიტიკის ადმინისტრირების სპეციალისტები - 2,181 ₾
5. მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსები - 2,135 ₾

## 3 ტექნიკოსები

1. თვითმფრინავების პილოტები - 5,184 ₾
2. საგემბანე ოფიცრები და ლოცმანები - 4,195 ₾
3. ბიზნეს მომსახურებების აგენტები - 1,969 ₾
4. საჰაერო მოძრაობის დისპეტჩერი - 1,880 ₾
5. სადაზღვევო წარმომადგენლები - 1,753 ₾

## 4 ოფისის პერსონალი

1. გამოკითხვების კლერკები - 1,608 ₾
2. პერსონალთან დაკავშირებული საკითხების კლერკები - 1,369 ₾
3. სამუშაოს ანაზღაურების სფეროს კლერკები - 1,314 ₾
4. გამოკვლევისა და ბაზრის კვლევების ინტერვიუერები - 1,254 ₾
5. წარმოების კლერკი - 1,187 ₾

## 5 მომსახურების სფეროს პერსონალი

1. ბორტგამცილებლები და სტიუარდები - 1,651 ₾
2. მოგზაურობის გიდები - 1,294 ₾
3. ცხოველების მომთვინიერებლები და მომვლელები - 1,092 ₾
4. გაყიდვების წარმომადგენლები - 967 ₾
5. სატრანსპორტო საშუალებების მართვის ინსტრუქტორები - 884 ₾

# დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით



# 2: დასაქმებულთა პროფესიული უნარების შეფასება

# დასაქმებულთა კომპეტენციის შეფასება ISCO-ს ძირითადი პროფესიული და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

შეფასება 5 ბალიანი შკალით, 1=მნიშვნელოვნად არაკომპეტენტური, 5=უმნიშვნელოდ არაკომპეტენტური







მენეჯერების ძირითადი პროფესიული ჯგუფი შეფასდა საშუალოდ 4.2 ქულით (უმაღლესი შეფასება დაფიქსირდა 13-დან 7 უნარში), ხოლო ამ ძირითადი ჯგუფის ელემენტარული ჯგუფებიდან, ყველაზე მაღალი - 4.6 ქულიანი საშუალო შეფასება სამთომოპოვებითი მრეწველობის მენეჯერებმა დაიმსახურეს, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო შეფასება - 1.6 ქულა, ადამიანური რესურსების მენეჯერებმა და ICT მომსახურების მენეჯერებმა.

# დასაქმებულთა კომპეტენციის შეფასება ISCO-ს ძირითადი პროფესიული და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

შეფასება 5 ბალიანი შკალით, 1=მნიშვნელოვნად არაკომპეტენტური, 5=უმნიშვნელოდ არაკომპეტენტური

## სპეციალისტები - 3.8 ქულა

| | |
|---|---|
| ტექნიკური უნარ-ჩვევები | 3 |
| წერილობითი დოკუმენტების გაცნობა და გასაგებად წერა | 4 |
| გამოთვლის, წაკითხვის და მონაცემებისა და ცხრილების გამოყენება | 2 |
| ახალი ინფორმაციებისა და უნარების შეძენის ნიჭი | 4 |
| მოლაპარაკებების ნიჭი | 5 |
| ინფორმაციის გაცნობის, გაანალიზებისა და გადმოცემის უნარი | 4 |
| ლიდერობის უნარი | 4 |
| ჯგუფური მუშაობის უნარი | 5 |
| ICT უნარები | 4 |
| გადაწყვეტილების მიღების უნარი | 4 |
| პრობლემის მოგვარების უნარი | 4 |
| სტანდარტების შესაბამისად მუშაობა | 5 |
| ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარები | 4 |

## ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

| | |
|---|---|
| სამთო-ინჟინრები და მეტალურგები | 5.0 |
| ქალაქისა და სატრანსპორტო კვანძების მგეგმავები | 4.5 |
| მონაცემთა ბაზისა და ქსელების სპეციალისტები | 4.4 |
| გადამზადებისა და თანამშრომელთა განვითარების სპეციალისტები | 4.4 |
| გარემოს დაცვის სპეციალისტები | 4.2 |
| შენობის არქიტექტორები | 4.0 |
| რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები | 3.9 |
| იურისტები | 3.9 |
| ბუღალტრები | 3.8 |
| კომპიუტერული ქსელების სპეციალისტები | 3.5 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტები | 2.6 |
| ფინანსური ანალიტიკოსები | 1.6 |
| სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ინჟინერიის სპეციალისტები | 1.2 |

- სპეციალისტების ძირითადი პროფესიული ჯგუფი შეფასდა საშუალოდ 3.8 ქულით. (უმაღლესი შეფასება - 5 ქულა დაფიქსირდა 13-დან 3 უნარში).
- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან, ყველაზე მაღალი - 5.0 ქულიანი საშუალო შეფასება სამთო-ინჟინრებისა და მეტალურგების ჯგუფის წარმომადგენლებმა მიიღეს, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო შეფასება - 1.2 ქულა, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ინჟინერიის სპეციალისტებმა.

# დასაქმებულთა კომპეტენციის შეფასება ISCO-ს ძირითადი პროფესიული და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

შეფასება 5 ბალიანი შკალით, 1=მნიშვნელოვნად არაკომპეტენტური, 5=უმნიშვნელოდ არაკომპეტენტური

## ტექნიკოსები - 1.6 ქულა

| | |
|---|---|
| ტექნიკური უნარ-ჩვევები | 4 |
| წერილობითი დოკუმენტების გაცნობა და გასაგებად წერა | 1 |
| გამოთვლის, წაკითხვის და მონაცემებისა და ცხრილების გამოყენება | 1 |
| ახალი ინფორმაციებისა და უნარების შეძენის ნიჭი | 1 |
| მოლაპარაკებების ნიჭი | 1 |
| ინფორმაციის გაცნობის, გაანალიზებისა და გადმოცემის უნარი | 1 |
| ლიდერობის უნარი | 1 |
| ჯგუფური მუშაობის უნარი | 1 |
| ICT უნარები | 1 |
| გადაწყვეტილების მიღების უნარი | 1 |
| პრობლემის მოგვარების უნარი | 1 |
| სტანდარტების შესაბამისად მუშაობა | 1 |
| ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარები | 4 |

## ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

| | |
|---|---|
| პროცესის კონტროლის ტექნიკოსები | 5.0 |
| ადმინისტრაციული და აღმასრულებელი სფეროს მდივნები | 4.5 |
| ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები | 4.5 |
| ბიზნეს მომსახურებების აგენტები | 4.0 |
| შემსყიდველები | 3.9 |
| უძრავი ქონების აგენტები და ქონების მენეჯერები | 3.9 |
| სამართლისა და მონათესავე სფეროს დამხმარე სპეციალისტები | 3.9 |
| ფიზიკურ და ტექნიკურ მეცნიერებათა ტექნიკოსები | 3.9 |
| შემფასებლები და ზარალის კონსულტანტები | 3.9 |
| ნავთობისა და ბუნებრივი აირის გამწმენდი საწარმოს ოპერატორები | 3.8 |
| საკრედიტო და სესხის ოფიცრები | 3.2 |
| საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები | 2.8 |
| სატელეკომუნიკაციო დანადგარების ტექნიკოსები | 1.6 |

- კვლევის შედეგების მიხედვით, ტექნიკოსების ძირითადი პროფესიული ჯგუფი შეფასდა საშუალოდ 1.6 ქულით. (ყველაზე მაღალი შეფასება – 4 ქულა დაფიქსირდა ტექნიკურ უნარ-ჩვევებში და ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარებში).
- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან, ყველაზე მაღალი – 5.0 ქულიანი საშუალო შეფასება პროცესის კონტროლის ტექნიკოსებმა მიიღეს, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო შეფასება – 1.6 ქულა სატელეკომუნიკაციო დანადგარების ტექნიკოსებმა.

# დასაქმებულთა კომპეტენციის შეფასება ISCO-ს ძირითადი პროფესიული და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

შეფასება 5 ბალიანი შკალით, 1=მნიშვნელოვნად არაკომპეტენტური, 5=უმნიშვნელოდ არაკომპეტენტური

## ოფისის პერსონალი - 3.5 ქულა

| | |
|---|---|
| ტექნიკური უნარ-ჩვევები | 2 |
| წერილობითი დოკუმენტების გაცნობა და გასაგებად წერა | 3 |
| გამოთვლის, წაკითხვის და მონაცემებისა და ცხრილების გამოყენება | 4 |
| ახალი ინფორმაციებისა და უნარების შეძენის ნიჭი | 4 |
| მოლაპარაკებების ნიჭი | 3 |
| ინფორმაციის გაცნობის, გაანალიზებისა და გადმოცემის უნარი | 4 |
| ლიდერობის უნარი | 4 |
| ჯგუფური მუშაობის უნარი | 4 |
| ICT უნარები | 5 |
| გადაწყვეტილების მიღების უნარი | 3 |
| პრობლემის მოგვარების უნარი | 4 |
| სტანდარტების შესაბამისად მუშაობა | 4 |
| ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარები | 3 |

## ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

| | |
|---|---|
| მდივნები | 4.4 |
| კლიენტთა ინფორმირებით დაკავებული მუშაკები | 4.4 |
| საკონტაქტო ცენტრის კლერკები | 4.2 |
| მბეჭდავები და საბეჭდი მანქანების ოპერატორები | 3.9 |
| საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების სფეროს კლერკები | 3.9 |
| ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები | 3.8 |
| წარმოების კლერკი | 3.8 |
| ტრანსპორტირების კლერკი | 3.8 |
| ოფისის ზოგადი კლერკები | 3.5 |
| მიმღებში მომუშავენი | 3.5 |
| მონაცემთა შეყვანის კლერკები | 2.6 |
| საწყობის კლერკი | 2.6 |
| სასტუმროს მიმღების ოპერატორები | 1.6 |

- კვლევის შედეგების მიხედვით, ოფისის პერსონალი ძირითადი პროფესიული ჯგუფი შეფასდა საშუალოდ 3.5 ქულით. (ყველაზე მაღალი შეფასება - 5 ქულა დაფიქსირდა ICT უნარებში).
- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან, ყველაზე მაღალი - 4.4 ქულიანი საშუალო შეფასება მდივნებმა და კლიენტთა ინფორმირებით დაკავებულმა მუშაკებმა მიიღეს, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო შეფასება - 1.6 ქულა სასტუმროს მიმღების ოპერატორებმა.

# დასაქმებულთა კომპეტენციის შეფასება ISCO-ს ძირითადი პროფესიული და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

შეფასება 5 ბალიანი შკალით, 1=მნიშვნელოვნად არაკომპეტენტური, 5=უმნიშვნელოდ არაკომპეტენტური

## მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი – 4.4 ქულა

| | |
|---|---|
| ტექნიკური უნარ-ჩვევები | 5 |
| წერილობითი დოკუმენტების გაცნობა და გასაგებად წერა | 5 |
| გამოთვლის, წაკითხვის და მონაცემებისა და ცხრილების გამოყენება | 5 |
| ახალი ინფორმაციებისა და უნარების შეძენის ნიჭი | 5 |
| მოლაპარაკებების ნიჭი | 3 |
| ინფორმაციის გაცნობის, გაანალიზებისა და გადმოცემის უნარი | 3 |
| ლიდერობის უნარი | 4 |
| ჯგუფური მუშაობის უნარი | 5 |
| ICT უნარები | 5 |
| გადაწყვეტილების მიღების უნარი | 4 |
| პრობლემის მოგვარების უნარი | 4 |
| სტანდარტების შესაბამისად მუშაობა | 4 |
| ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარები | 4 |

## ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

| | |
|---|---|
| უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები | 4.5 |
| ტრანსპორტის კონდუქტორები | 4.4 |
| მიმტანები | 4.2 |
| დაწესებულებების დალაგებისა და საოჯახო საქმეების ზედამხედველები | 4.1 |
| ბარმენები | 4.0 |
| კვების პუნქტების პერსონალი | 4.0 |
| მოლარეები და ბილეთების კონტროლიორები | 4.0 |
| გაყიდვების წარმომადგენლები | 3.9 |
| მზარეულები | 3.9 |
| მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები | 3.9 |
| ბორტგამცილებლები და სტიუარდები | 3.8 |
| შენობის მომვლელები | 3.8 |
| მაღაზიის ზედამხედველები | 1.2 |

- კვლევის შედეგების მიხედვით, მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალის ძირითადი პროფესიული ჯგუფი შეფასდა საშუალოდ 4.4 ქულით. (უმაღლესი შეფასება – 5 ქულა 13-დან 5 უნარში დაფიქსირდა ).
- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან, ყველაზე მაღალი – 4.5 ქულიანი საშუალო შეფასება უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა მიიღეს, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო შეფასება – 1.2 ქულა მაღაზიის ზედამხედველებმა.

1=მნიშვნელოვნად არაკომპეტენტურს, ხოლო 5=უმნიშვნელოდ არაკომპეტენტურს

# დასაქმებულთა კომპეტენციის შეფასება ISCO-ს ძირითადი პროფესიული და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

შეფასება 5 ბალიანი შკალით, 1=მნიშვნელოვნად არაკომპეტენტური, 5=უმნიშვნელოდ არაკომპეტენტური

## სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები – 3.9 ქულა

| | |
|---|---|
| ტექნიკური უნარ-ჩვევები | 4 |
| წერილობითი დოკუმენტების გაცნობა და გასაგებად წერა | 4 |
| გამოთვლის, წაკითხვის და მონაცემებისა და ცხრილების გამოყენება | 4 |
| ახალი ინფორმაციებისა და უნარების შეძენის ნიჭი | 4 |
| მოლაპარაკებების ნიჭი | 4 |
| ინფორმაციის გაცნობის, გაანალიზებისა და გადმოცემის უნარი | 4 |
| ლიდერობის უნარი | 5 |
| ჯგუფური მუშაობის უნარი | 4 |
| ICT უნარები | 5 |
| გადაწყვეტილების მიღების უნარი | 5 |
| პრობლემის მოგვარების უნარი | 4 |
| სტანდარტების შესაბამისად მუშაობა | 4 |
| ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარები | 3 |

## ელემენტარული ჯგუფების მიხედვით




- კვლევის შედეგების მიხედვით, სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები ძირითადი პროფესიული ჯგუფი შეფასდა საშუალოდ 3.9 ქულით.
- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან, ყველაზე მაღალი – 3.9 ქულიანი საშუალო შეფასება სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკებმა მიიღეს, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო შეფასება – 2.8 ქულა მეფრინველეებმა.

# დასაქმებულთა კომპეტენციის შეფასება ISCO-ს ძირითადი პროფესიული და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

შეფასება 5 ბალიანი შკალით, 1=მნიშვნელოვნად არაკომპეტენტური, 5=უმნიშვნელოდ არაკომპეტენტური

## ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები – 2.6 ქულა

| უნარი | ქულა |
|---|---|
| ტექნიკური უნარ-ჩვევები | 1 |
| წერილობითი დოკუმენტების გაცნობა და გასაგებად წერა | 2 |
| გამოთვლის, წაკითხვის და მონაცემებისა და ცხრილების გამოყენება | 3 |
| ახალი ინფორმაციებისა და უნარების შეძენის ნიჭი | 2 |
| მოლაპარაკებების ნიჭი | 2 |
| ინფორმაციის გაცნობის, გაანალიზებისა და გადმოცემის უნარი | 3 |
| ლიდერობის უნარი | 3 |
| ჯგუფური მუშაობის უნარი | 3 |
| ICT უნარები | 3 |
| გადაწყვეტილების მიღების უნარი | 3 |
| პრობლემის მოგვარების უნარი | 3 |
| სტანდარტების შესაბამისად მუშაობა | 2 |
| ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარები | 3 |

## ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

| ჯგუფი | ქულა |
|---|---|
| ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 4.6 |
| ხუროები და დურგლები | 4.5 |
| შემდუღებლები და აირით მჭრელები | 4.4 |
| ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები | 4.2 |
| იატაკისა და ფილების დამგებები | 4.0 |
| პურისმცხობელები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები | 3.9 |
| მკერავები | 3.8 |
| შენობების და მონათესავე სფეროების ელექტრიკოსები | 3.8 |
| ბეტონჩამსხმელი და ბეტონმომპირკეთებელი მუშები | 3.7 |
| ელექტროგადამცემი ხაზების მემონტაჟეები და შემკეთებლები | 3.5 |
| ლითონდასამუშავებელი ჩარხების ამწყობები და ოპერატორები | 2.6 |
| მღებავები და მონათესავე სფეროების მუშები | 1.6 |
| ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსები და მონტიორები | 1.6 |

- კვლევის შედეგების მიხედვით, ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკების ძირითადი პროფესიული ჯგუფი შეფასდა საშუალოდ 2.6 ქულით.
- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან, ყველაზე მაღალი – 4.6 ქულიანი საშუალო შეფასება ზოგადი პროფილი ხელოსნებმა მიიღეს, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო შეფასება – 1.6 ქულა მღებავებმა და ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსებმა.

# დასაქმებულთა კომპეტენციის შეფასება ISCO-ს ძირითადი პროფესიული და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

შეფასება 5 ბალიანი შკალით, 1=მნიშვნელოვნად არაკომპეტენტური, 5=უმნიშვნელოდ არაკომპეტენტური

## სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები – 3.8 ქულა

| უნარი | ქულა |
|---|---|
| ტექნიკური უნარ-ჩვევები | 4 |
| წერილობითი დოკუმენტების გაცნობა და გასაგებად წერა | 4 |
| გამოთვლის, წაკითხვის და მონაცემებისა და ცხრილების გამოყენება | 4 |
| ახალი ინფორმაციებისა და უნარების შეძენის ნიჭი | 4 |
| მოლაპარაკებების ნიჭი | 4 |
| ინფორმაციის გაცნობის, გაანალიზებისა და გადმოცემის უნარი | 3 |
| ლიდერობის უნარი | 4 |
| ჯგუფური მუშაობის უნარი | 4 |
| ICT უნარები | 4 |
| გადაწყვეტილების მიღების უნარი | 5 |
| პრობლემის მოგვარების უნარი | 4 |
| სტანდარტების შესაბამისად მუშაობა | 4 |
| ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარები | 4 |

## ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

| ჯგუფი | ქულა |
|---|---|
| ავტოსაწევლელების ოპერატორები | 4.5 |
| ჭაბურღილებისა და ჭების მბურღავები | 4.4 |
| ტექსტილის, ბეწვისა და ტყავის პროდუქციის დასამზადებელი მანქანების ოპერატორები | 4.2 |
| შესაფუთი, ჩამოსასხმელი და ეტიკეტირების მანქანების ოპერატორები | 4.1 |
| საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები | 4.0 |
| მიწასათხრელი და მსგავსი მანქანების ოპერატორები | 4.0 |
| სატვირთო ავტომობილების მძღოლები | 3.9 |
| სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორები | 3.9 |
| საკერავი მანქანების ოპერატორები | 3.9 |
| მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები | 3.9 |
| მაღაროს და კარიერის მუშები | 3.8 |
| ამწეების, საწეველებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები | 3.7 |
| რკინიგზის მამუხრუჭებელი მუშები, სიგნალის გადამცემები და გადამრთველი ოპერატორები | 1.2 |

- კვლევის შედეგების მიხედვით, სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობების ძირითადი პროფესიული ჯგუფი შეფასდა საშუალოდ 3.8 ქულით.
- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან, ყველაზე მაღალი – 4.5 ქულიანი საშუალო შეფასება ავტოსაწევლელების ოპერატორებმა მიიღეს, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო შეფასება – 1.2 ქულა რკინიგზის მამუხრუჭებელი მუშების, სიგნალის გადამცემებისა და გადამრთველი ოპერატორების პროფესიულმა ჯგუფმა

# დასაქმებულთა კომპეტენციის შეფასება ISCO-ს ძირითადი პროფესიული და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

შეფასება 5 ბალიანი შკალით, 1=მნიშვნელოვნად არაკომპეტენტური, 5=უმნიშვნელოდ არაკომპეტენტური







- კვლევის შედეგების მიხედვით, დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელის ძირითადი პროფესიული ჯგუფი შეფასდა საშუალოდ 3.8 ქულით (უმაღლესი 5 ქულით შეფასდა გადაწყვეტილების მიღების უნარი).
- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან, ყველაზე მაღალი – 4.5 ქულიანი საშუალო შეფასება მაღაროსა და კარიერების მუშებმა, ხელითა და პედლით სამართავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებმა და ნარჩენების დამხარისხებლებმა მიიღეს, ხოლო ყველაზე დაბალი საშუალო შეფასება – 2.8 ქულა რკინიგზის მანქანის მრეცხავებმა.

# პროფესიულ უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევა

**ძირითადი ღონისძიებები, რომელსაც საწარმოები ატარებენ პროფესიულ უნარებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად**




დამსაქმებელთა მხრიდან უნარებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად ძირითადად სპეციალური ღონისძიებები არ ხორციელდება – 87.8%.

გამოკითხულთა მხოლოდ 6.8% მიმართავს დამატებითი ტრენინგის ჩატარების მეთოდს, 4% ახალი კვალიფიციური კადრის აყვანას ირჩევს, ხოლო 1.4% სამუშაო პრაქტიკის შეცვლას.

# 3: საწარმოში არსებული ვაკანსიები და დასაქმება

# კვლევამდე 12 თვის განმავლობაში არსებული ვაკანსიების რაოდენობა

## არსებული ვაკანსიები




2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში 7,276 საწარმოს ჰქონდა ვაკანსია. ვაკანსიების ჯამურმა რაოდენობამ 58,911 ვაკანსია შეადგინა.

## ვაკანსიები საწარმოთა ზომის მიხედვით




- ვაკანსიების 40.7% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, საშუალო ზომის საწარმოებზე 20.6%, ხოლო მცირე ზომის საწარმოებზე 38.7%.
- თბილისში არსებული ვაკანსიების წილი 72.2%-ია, შემდეგ მოდის აჭარა (11.3%), იმერეთი (6.2%), ქვემო ქართლი და (4.4%), კახეთი (2.2%).დანარჩენი რეგიონების წილი 3.7%-ია.

## ვაკანსიები რეგიონების მიხედვით



# არსებული ვაკანსიების განაწილება ძირითადი პროფესიული ჯგუფისა და ეკონომიკურ საქმიანობათა მიხედვით

## ISCO-ს ძირითადი ჯგუფების მიხედვით

(5) მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი -13,918 (23.6%)

(2) სპეციალისტები - 9,265 (15.7%)

(9) დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი - 7,709 (13.1%)

(1) მენეჯერები - 7,353 (12.5%)

(7) ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები - 5,513 (9.4%)

(8) სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები - 5,221 (8.9%)

(3) ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 4,962 (8.4%)

(4) ოფისის პერსონალი - 4,876 (8.3%)

(6) სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები - 94 (0.2%)

## NACE ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი - 20,423 (34.7%)

სასტუმროები და რესტორნები - 6,392 (10.9%)

მშენებლობა - 4,979 (8.5%)

დამამუშავებელი მრეწველობა - 4,679 (7.9%)

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება - 3,359 (5.7%)

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 3,171 (5.4%)

ტრანსპორტირება და დასაწყობება - 2,375 (4.0%)

ინფორმაცია და კომუნიკაცია - 2,189 (3.7%)

დანარჩენი სექტორები - 11,345 (19.3%)

# არსებული ვაკანსიების რაოდენობა ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## არსებულ ვაკანსიებში პირველი ტოპ ათეული

01 9112 დამლაგებლები და მათი დამხმარეები – 3,773

02 5223 მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები – 3,614

03 5242 გაყიდვების წარმომადგენლები – 2,663

04 1221 გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები – 2,152

05 5131 მიმტანები – 1,916

06 1214 კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები – 1,909

07 8332 სატვირთო ავტომობილების მძღოლები – 1,731

08 8189 სტაციონალური დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები – 1,654

09 5414 უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები – 1,473

10 2411 ბუღალტრები – 1,368

## ტოპ ვაკანსიები ძირითად პროფესიული ჯგუფების მიხედვით

01 გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები – 2,152

02 ბუღალტრები – 1,368

03 პროცესის კონტროლის ტექნიკოსები – 687

04 ბანკის მოლარეები – 888

05 მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები – 3,614

06 მემინდვრეები და მებოსტნეები – 48

07 მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები – 1,130

08 სატვირთო ავტომობილების მძღოლები – 1,731

09 დამლაგებლები და მათი დამხმარეები – 3,773

2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, გასული ერთი წლის კვლევამდე ბოლო 12 თვის განმავლობაში არსებული ვაკანსიების რაოდენობებით დამლაგებლები და მათი დამხმარეების ელემენტარული პროფესიული ჯგუფი გამოირჩევა – 3,773 ვაკანსია. აღსანიშნავია, რომ პირველ ტოპ ათეულში 4 ელემენტარული ჯგუფი მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალის ძირითად ჯგუფს (ჯგუფი 5) მიეკუთვნება.

# არსებული და გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა და წილი ISCO-ს ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით

| | მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი | სპეციალისტები | დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი | მენეჯერები | ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები | სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები | ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | ოფისის პერსონალი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 58,911 | 23.6% | 15.7% | 13.1% | 12.5% | 9.4% | 8.9% | 8.4% | 8.3% |
| არსებული ვაკანსიების რაოდენობა | 13,918 | 9,265 | 7,709 | 7,353 | 5,513 | 5,221 | 4,962 | 4,876 |
| გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა | 13,744 | 8,802 | 6,701 | 6,363 | 5,434 | 4,650 | 4,707 | 4,668 |
| 55,163 | 98.7% | 95% | 86.9% | 86.5% | 98.6% | 89.1% | 94.9% | 95.7% |

2019 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით საწარმოებს არსებული ვაკანსიების **93.6% ჰქონდათ** (55,163 ვაკანსია) გამოცხადებული.

გამოცხადებული ვაკანსიების ყველაზე დიდი რაოდენობა მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალზე მოდის (13,744 ვაკანსია, არსებულის 98.7%). სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკების პროფესიული ჯგუფისთვის 1 წლის განმავლობაში 94 ვაკანსია გამოცხადდა (არსებულის 100%).

# გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო თვიური ხელფასი

## ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით

| | |
|---|---|
| მენეჯერები | 1,465₾ |
| სპეციალისტები | 1,252₾ |
| ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | 1,007₾ |
| ოფისის პერსონალი | 846₾ |
| მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი | 665₾ |
| სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები | 669₾ |
| ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები | 937₾ |
| სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები | 899₾ |
| დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი | 558₾ |

## ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

| | |
|---|---|
| თვითმფრინავების პილოტები | 7,468 ₾ |
| ფინანსური და საინვესტიციო მრჩევლები | 3,957 ₾ |
| პოლიტიკის ადმინისტრირების სპეციალისტები | 2,839 ₾ |
| პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები | 2,700 ₾ |
| სისტემების ანალიტიკოსები | 2,587 ₾ |
| ICT-ის გაყიდვების სპეციალისტები | 2,542 ₾ |
| ბორტგამცილებლები და სტიუარდები | 2,522 ₾ |
| მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები | 2,511 ₾ |
| მშენებლობის მენეჯერები | 2,260 ₾ |

- 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით გასულ 1 წლიწადში გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ხელფასით მენეჯერების ძირითადი პროფესიული ჯგუფი გამოირჩევა – 1,465₾.
- გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი, ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით, თვითმფრინავების პილოტების პროფესიულ ჯგუფზე მოდის – 7,468₾.

# ვაკანტური პოზიციების შევსებისას არსებული პრობლემები

| | | |
|---|---|---|
| დიახ | 654 | 9% |
| არა | 6,623 | 91% |







7,276 საწარმოდან, რომლებსაც ჰქონდათ ვაკანსიები, მხოლოდ 9%-ს (654 საწარმო) შეექმნა პრობლემა ვაკანტური პოზიციების შევსებისას, საიდანაც 79% მცირე ზომის საწარმოა. იმ საწარმოებიდან, რომლებსაც ვაკანტური პოზიციის შევსებისას პრობლემა შეექმნათ 64.9% თბილისში მდებარეობს.

## ვაკანტური პოზიციების შევსებისას არსებული პრობლემები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით

- **33.8%** საბითუმო და საცალო ვაჭრობა
- **13%** დამამუშავებელი მრეწველობა
- **11.5%** ინფორმაცია და კომუნიკაცია
- **11.2%** სასტუმროები და რესტორნები
- **4.6%** ტრანსპორტირება და დასაწყობება

იმ საწარმოებიდან, რომლებსაც ვაკანტური პოზიციის შევსებისას პრობლემა შეექმნათ, 33.8% საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორში საქმიანობს, 13% დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში. 11.5% ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში.

# ვაკანტური პოზიციების შევსებისას არსებული პრობლემები – პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით

| | |
|---|---|
| სპეციალისტები | 26.3% |
| მენეჯერები | 22.2% |
| მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი | 14.6% |
| ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | 11.1% |
| ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები | 10.9% |
| სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები | 5.2% |
| დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი | 4.6% |
| ოფისის პერსონალი | 3.9% |
| სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები | 1.2% |

## ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

| | |
|---|---|
| პროგრამისტები | 12.1% |
| გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები | 9.0% |
| მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები | 5.1% |
| კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები | 5.1% |
| სატვირთო ავტომობილების მძღოლები | 4.0% |
| საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები | 3.5% |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსები და შემკეთებლები | 3.1% |
| ფინანსური მენეჯერები | 3.0% |
| ქვისმტეხავები, ქვისმთლელები და ქვაზე მჭრელები | 3.0% |

- 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით გასულ 1 წელიწადში გამოცხადებულ ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული პრობლემების 26.3% სპეციალისტთა ძირითადი პროფესიული ჯგუფების წარმომადგენლებზე მოდიოდა. შემდეგ მოდიან მენეჯერები – 22.2% და მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი 14,6%

- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან, ვაკანსიების შეუვსებლობასთან დაკავშირებული პრობლემების 12,1% პროგრამისტებზე მოდიოდა, შემდეგ მოდიან გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები – 9%-ით, მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები – 5,1%-ით..

# ვაკანტური პოზიციების შევსებისას არსებული პრობლემები – მიზეზები







- 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით გასულ 1 წელიწადში გამოცხადებულ ვაკანსიების შეუვსებლობის ძირითად მიზეზად, დამსაქმებელთა მხრიდან, აპლიკანტთა არასაკმარისი კვალიფიკაცია დასახელდა (პასუხების 28.7%), შემდეგ მოდის აპლიკანტთა ნაკლებობა (19.3%), აპლიკანტთა არასაკმარისი გამოცდილება – 18.6%.

# არსებული ვაკანსიების რაოდენობა – კვლევამდე ბოლო 3 თვე

## არსებული ვაკანსიები




2019 წლის 1 სექტემბრს, ბოლო 3 თვეში 2,095 საწარმოს ჰქონდა ვაკანსია. ვაკანსიების ჯამურმა რაოდენობამ 10,776 ერთეული შეადგინა.

## ვაკანსიები საწარმოთა ზომის მიხედვით




- ვაკანსიების 47.9% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, საშუალო ზომის საწარმოებზე 19.5%, ხოლო მცირე ზომის საწარმოებზე 32.6%.
- თბილისში არსებული ვაკანსიების წილი 79.3%-ია, შემდეგ მოდის აჭარა (9.1%), იმერეთი (5.5%), ქვემო ქართლი (3%) და სამცხე ჯავახეთი (1.3%). დანარჩენი რეგიონების წილი 2.8%-ია.

## ვაკანსიები რეგიონების მიხედვით



# არსებული ვაკანსიების რაოდენობა – ბოლო 3 თვე

## ISCO-ს ძირითადი ჯგუფების მიხედვით

- (5) მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი -3,052 (28.3%)
- (2) სპეციალისტები – 1,407 (13.1%)
- (1) მენეჯერები – 1,191 (11%)
- (4) ოფისის პერსონალი – 1,140 (10.6%)
- (8) სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები – 1,137 (10.2%)
- (7 ) ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები – 1,103 (10.5%)
- (9) დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი – 895 (8.3%)
- (3) ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები – 843 (7.8%)
- (6) სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები – 8 (0.1%)

## NACE ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

- საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი – 4.273 (39.7%)
- დამამუშავებელი მრეწველობა – 1.014 (9.4%)
- სასტუმროები და რესტორნები – 716 (6.6%)
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები – 646 (6.0%)
- ტრანსპორტირება და დასაწყობება – 611 (5.7%)
- მშენებლობა – 589 (5.5%)
- ინფორმაცია და კომუნიკაცია – 579 (5.4%)
- ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება – 478 (4.4%)
- დანარჩენი სექტორები – 1,871 (17.4%)

# არსებული ვაკანსიების რაოდენობა – ბოლო 3 თვე

## ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით




- 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით გასულ 3 თვეში არსებული ვაკანსიებიდან, ყველაზე მეტი მაღაზიის გაყიდვების ასისტენტების ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფს ეკუთვნოდა – 833 ვაკანსია, შემდეგ მოდის გაყიდვების წარმომადგენლები -(690 ვაკანსია) და გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები (436 ვაკანსია)...
- აღსანიშნავია, რომ პირველ ათეულში, 5 ელემენტარული პროფესიული ჯგუფი მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალის ძირითად ჯგუფს მიეკუთვნება.

# არსებული, გამოცხადებული და შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა - ბოლო 3 თვე

**არსებული ვაკანსიების რაოდენობა**
**10,776**

**გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა**
**9,186 – 85%**

**შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა**
**5,256 – 57%**

| | არსებული | გამოცხადებული | | შეუვსებელი | |
|---|---|---|---|---|---|
| მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი | 3,052 | 2,746 | 90.0% | 1,763 | 64.2% |
| სპეციალისტები | 1,407 | 1,174 | 83.5% | 657 | 56.0% |
| სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები | 1,137 | 1,048 | 92.1% | 607 | 57.9% |
| ოფისის პერსონალი | 1,140 | 948 | 83.1% | 468 | 49.4% |
| მენეჯერები | 1,191 | 930 | 78.1% | 403 | 43.3% |
| ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები | 1,103 | 823 | 74.6% | 612 | 74.4% |
| ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | 843 | 793 | 94.1% | 377 | 47.6% |
| დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი | 895 | 717 | 80.1% | 362 | 50.5% |

- 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით გამოცხადებული ვაკანსიების უმრავლესობა მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალისთვის იყო განკუთვნილი - 2,746 ვაკანსია. თუმცა, მათი 64.2% შეუვსებელი დარჩა.
- არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადებულის წილი ყველაზე მაღალი ტექნიკოსების პროფესიული ჯგუფისთვის იყო -94.1%.
- შეუვსებელი ვაკანსიების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ხელოსნებისა და მონათესავე პროფესიების მუშაკების პროფესიულ ჯგუფში დაფიქსირდა.

# არსებული, გამოცხადებული და შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა - ბოლო 3 თვე

## ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

| | არსებული | გამოცხადებული | | შეუვსებელი | |
|---|---|---|---|---|---|
| მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები | 833 | 719 | 86% | 480 | 67% |
| გაყიდვების წარმომადგენლები | 690 | 681 | 99% | 436 | 64% |
| სტაციონალური დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები | 417 | 417 | 100% | 116 | 28% |
| გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები | 436 | 390 | 89% | 150 | 38% |
| მიმტანები | 345 | 307 | 89% | 196 | 64% |
| უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები | 322 | 300 | 93% | 161 | 54% |
| მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები | 286 | 284 | 99% | 271 | 95% |
| კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები | 196 | 174 | 89% | 83 | 48% |
| ტოტალიზატორის ოპერატორები, ბუკმეკერები, კრუპიეები | 173 | 173 | 100% | 137 | 79% |
| მოლარეები და ბილეთების კონტროლიორები | 204 | 170 | 83% | 133 | 78% |

# გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეუვსებლობის მიზეზები – ბოლო 3 თვე




- 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით გასულ 3 თვეში გამოცხადებულ ვაკანსიების შეუვსებლობის ძირითად მიზეზად, დამსაქმებელთა მხრიდან, აპლიკანტთა არასაკმარისი გამოცდილება დასახელდა (პასუხების 42.6%), შემდეგ მოდის აპლიკანტთა დაბალი კვალიფიკაცია (23.5%) და „აპლიკანტებს არ მოსწონდათ შეთავაზებული სამუშაო გარემო“ – 21.4%.

# არსებული ვაკანსიების რაოდენობა - 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

## არსებული ვაკანსიები




2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, 990 საწარმოს ჰქონდა ვაკანსია. ვაკანსიების ჯამურმა რაოდენობამ 4,509 ერთეული შეადგინა.

## ვაკანსიები საწარმოთა ზომის მიხედვით




- ვაკანსიების 55.4% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, საშუალო ზომის საწარმოებზე 17%, ხოლო მცირე ზომის საწარმოებზე 27.6%.
- თბილისში არსებული ვაკანსიების წილი 79.4%-ია, შემდეგ მოდის აჭარა (8.7%), იმერეთი (4.9%), სამცხე ჯავახეთი (3%) და ქვემო ქართლი (2.2%).დანარჩენი რეგიონების წილი 2.4%-ია.

## ვაკანსიები რეგიონების მიხედვით



# არსებული ვაკანსიების რაოდენობა - 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

## ISCO-ს ძირითადი ჯგუფების მიხედვით

(5) მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი - 1,442 (32%)

(2) სპეციალისტები - 600 (13.3%)

(8 )სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები - 567 (12.6%)

(7) ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები - 505 (11.2%)

(4) ოფისის პერსონალი - 413 (9.2%)

(1) მენეჯერები - 346 (7.7%)

(3) ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები - 318 (7%)

(9) დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი - 313 (7%)

(6) სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები - 6 (0.1%)

## NACE ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი - 1,703 (37.8%)

დამამუშავებელი მრეწველობა - 500 (11.1%)

ტრანსპორტირება და დასაწყობება - 412 (9.1%)

ინფორმაცია და კომუნიკაცია - 276 (6.1%)

განათლება - 237 (5.3%)

სასტუმროები და რესტორნები - 211 (4.7%)

ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 206 (4.6%)

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება - 191 (4.2%)

დანარჩენი სექტორები - 773 (17%)

# არსებული ვაკანსიების რაოდენობა – 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

## ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით




- 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არსებული ვაკანსიებიდან, ყველაზე მეტი გაყიდვების წარმომადგენლების პროფესიულ ჯგუფს ეკუთვნოდა – 438 ვაკანსია, შემდეგ მოდის მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები (408 ვაკანსია) და მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები (270 ვაკანსია)...
- აღსანიშნავია, რომ პირველ ათეულში, 4 ელემენტარული პროფესიული ჯგუფი მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალის ძირითად ჯგუფს მიეკუთვნება.

## რომელი პროფესიული ჯგუფის წამომადგენლები იყვნენ არა კვალიფიცირებულები და არ გააჩნდათ საჭირო უნარ-ჩვევები




## რომელ პროფესიულ უნარებში იყვნენ აპლიკანტები არა კვალიფიცირებულები და არ გააჩნდათ საჭირო უნარ-ჩვევები?



# ახალი კადრის მოძიება

### ინფორმაციის რომელი წყარო გამოიყენა საწარმომ ახალი კადრების აყვანისას




### გთხოვთ მიუთითოთ, რის საფუძველზე ხორციელდება აპლიკანტთა შეფასება?




### სამუშაოზე მიღებისას, რომელ კანდიდატებს აქვთ სამუშაოზე მიღების ყველაზე დიდი შანსი?




### რა ზომებს მიმართეთ ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოსაფხვრელად?




- ახალი კადრების მოძიების ძირითადი წყაროს საწარმოებისთვის ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები წარმოადგენდა (გამოკითხულთა 51.1%).
- აპლიკანტთა შეფასება ძირითადად გასაუბრების მეშვეობით ხორციელდება (გამოკითხულთა 52.8%), ხოლო მათი შეფასების მთავარი კრიტერიუმი გამოცდილებაა (გამოკითხულთა 56.1%).

# ახალი კადრის მოძიება – მოთხოვნა უცხო ენებზე

**გესაჭიროებათ თუ არა აპლიკანტის მიერ უცხო ენის ფლობა?**

| | |
|---|---|
| დიახ | 40% |
| არა | 60% |

**რომელ უცხო ენაზე/ენებზე აკეთებთ აქცენტს დაქირავებისას?**



ინგლისური - 53%  რუსული - 40%  თურქული - 6%  სხვა - 2%

კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა 60%-ს აპლიკანტის მიერ რომელიმე უცხო ენის ცოდნა არ ესაჭიროება. საწარმოთა 40%-ის შემთხვევაში კი უცხო ენის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ის საწარმოები, რომლებიც აპლიკანტების მიერ უცხო ენის ცოდნას ითხოვენ, აქცენტს აკეთებენ ინგლისური ენის ცოდნაზე (გამოკითხულთა 53%), რუსულ ენასა (გამოკითხულთა 40%) და თურქულ ენაზე (გამოკითხულთა 6%). საწარმოები მხოლოდ 2%-ის შემთხვევაში ითხოვენ აპლიკანტთა მიერ რომელიმე სხვა უცხო ენის ცოდნას.

# 4: მოთხოვნა სამუშაო ძალაზე

# საწარმოთა განზრახვა სამუშაო ძალის გაზრდის თაობაზე

## მუშახელის რაოდენობის გაზრდა




კვლევის შედეგების მიხედვით, მომდევნო 12 თვის განმავლობაში საწარმოთა 6.4% (3,388 საწარმო) აპირებს სამუშაო ძალის გაზრდას 10,869 დასაქმებულით.

მსხვილ საწარმოებში სამუშაო ძალის რაოდენობის გაზრდა იგეგმება 6.308 პირით (1 საწარმოში საშუალოდ 69 დასაქმებული), საშუალო საწარმოებში 1.875-ით (საშუალოდ 10 დასაქმებული), ხოლო მცირე საწარმოებში 2.686 დასაქმებულით (საშუალოდ 1 დასაქმებული)

## საწარმოთა მუშახელის რაოდენობის გაზრდა რეგიონულ ჭრილში




## საწარმოთა სამუშაო ძალის რაოდენობის გაზრდა ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით



# სამუშაო ძალის გაზრდის გეგმები – მიზეზები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## საწარმოს გაფართოება

| მენეჯერები | სპეციალისტები | ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | ოფისის პერსონალი | მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი | სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები | ხელოსნები და მონათესავე პროფესიები | სამრეწველო დანადგარებისა ოპერატორები და ამწყობები | დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ – 591 | სულ – 484 | სულ – 308 | სულ – 96 | სულ – 479 | სულ – 15 | სულ – 324 | სულ – 194 | სულ – 177 |

## არსებული სამუშაო ძალა არ არის საკმარისი

| მენეჯერები | სპეციალისტები | ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | ოფისის პერსონალი | მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი | სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები | ხელოსნები და მონათესავე პროფესიები | სამრეწველო დანადგარებისა ოპერატორები და ამწყობები | დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ – 261 | სულ – 227 | სულ – 250 | სულ – 126 | სულ – 365 | სულ – 26 | სულ – 213 | სულ – 86 | სულ – 171 |

- გამოკითხულთა 60% მუშახელის რაოდენობის გაზრდის ძირითად მიზეზად, საწარმოს გაფართოებას ასახელებს, ხოლო არასაკმარისი სამუშაო ძალა მუშახელის გაზრდის მიზეზად 39%-მა დაასახელა.
- საწარმოს გაფართოების მიზნით მუშახელის რაოდენობის გაზრდა ძირითადი პროფესიული ჯგუფებიდან ყველაზე მეტად მენეჯერების პროფესიულ ჯგუფზე აისახა – 22.1% (591 პასუხი), ხოლო არასაკმარისი სამუშაო ძალის გამო მუშახელის რაოდენობის გაზრდა კი ყველაზე მეტად მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალზე აისახა – 21.2% (365 პასუხი).

# სამუშაო ძალის გაზრდის გეგმები - მიზეზები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## საწარმოს გაფართოება

| | |
|---|---|
| გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები | სულ - 329 |
| მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები | სულ - 193 |
| ტექნიკოსები სატვირთო ავტომობილების მძღოლები | სულ - 135 |
| ბუღალტრები | სულ - 90 |
| შენობის არქიტექტორები | სულ - 77 |
| ბიზნეს მომსახურებების აგენტები | სულ - 74 |
| ოფისის ზედამხედველები | სულ - 68 |
| უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები | სულ - 63 |
| საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები | სულ - 61 |

## არსებული სამუშაო ძალა არ არის საკმარისი

| | |
|---|---|
| გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები | სულ - 166 |
| ლითონის გადამუშავების ოპერატორები | სულ - 103 |
| მიმტანები | სულ - 96 |
| მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები | სულ - 93 |
| ბიზნეს მომსახურებების აგენტები | სულ - 69 |
| საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების სფეროს კლერკები | სულ - 66 |
| მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები | სულ - 60 |
| მზარეულები | სულ - 55 |
| სატვირთო ავტომობილების მძღოლები | სულ - 39 |

ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან გამორჩეულია: „საწარმოს გაფართოების“ მიზეზით გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები - 30.2% (329 პასუხი). ასევე გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები გამოირჩევიან „არასაკმარისი სამუშაო ძალის“ შემთხვევაშიც - 22.2% (166 პასუხი).

# საწარმოთა განზრახვა სამუშაო ძალის შემცირების თაობაზე

## მუშახელის რაოდენობის გაზრდა




## საწარმოთა მუშახელის რაოდენობის შემცირება რეგიონულ ჭრილში




## საწარმოთა სამუშაო ძალის რაოდენობის შემცირება ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით




სამუშაო ძალის შემცირება, სულ 401 საწარმოში იგეგმება, ჯამში 1,125 დასაქმებულით

მსხვილ საწარმოებში სამუშაო ძალის რაოდენობის შემცირება იგეგმება 270 პირით (1 საწარმოში საშუალოდ 14 დასაქმებული), საშუალოში 325-ით (საშუალოდ 2 დასაქმებული), ხოლო მცირე საწარმოებში 530 პირით (საშუალოდ 3 დასაქმებული).

# სამუშაო ძალის შემცირების გეგმები - მიზეზები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## წარმოების შემცირება

| მენეჯერები | სპეციალისტები | ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | ოფისის პერსონალი | მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი | სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები | ხელოსნები და მონათესავე პროფესიები | სამრეწველო დანადგარებისა ოპერატორები და ამწყობები | დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ - 113 | სულ - 198 | სულ - 41 | სულ - 31 | სულ - 118 | სულ - 0 | სულ - 73 | სულ - 58 | სულ - 62 |

## სამუშაო ძალის სტრუქტურული ცვლილება

| მენეჯერები | სპეციალისტები | ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | ოფისის პერსონალი | მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი | სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები | ხელოსნები და მონათესავე პროფესიები | სამრეწველო დანადგარებისა ოპერატორები და ამწყობები | დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ - 25 | სულ - 31 | სულ - 1 | სულ - 0 | სულ - 4 | სულ - 26 | სულ - 5 | სულ - 3 | სულ - 2 |

გამოკითხულთა 88% მუშახელის შემცირების ძირითად მიზეზად, წარმოების შემცირებას ასახელებს, ხოლო სამუშაო ძალის სტრუქტურული ცვლილება სამუშაო ძალის შემცირების მიზეზად 9%-მა დაასახელა. აღსანიშნავია, „ცვლილებები გამოყენებულ ტექნოლოგიებში“ შემცირების მიზეზად მხოლოდ 0,6%-მა დაასახელა.

# სამუშაო ძალის შემცირების გეგმები – მიზეზები ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

## წარმოების შემცირება

| ბუღალტრები | მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები | გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები | ფარმაცევტები | მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები | მსუბუქი ავტომობილების, ტაქსისა და ფურგონების მძღოლები | მიმტანები | ბარმენები | გაყიდვების წარმომადგენლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ – 124 | სულ – 31 | სულ – 30 | სულ – 26 | სულ – 24 | სულ – 23 | სულ – 23 | სულ – 21 | სულ – 21 |

## სამუშაო ძალის სტრუქტურული ცვლილება

| კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები | ბუღალტრები | პროგრამისტები | საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტები | მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები | გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები | ადამიანური რესურსების მენეჯერები | სატვირთო ავტომობილების მძღოლები | მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ – 19 | სულ – 14 | სულ – 10 | სულ – 7 | სულ – 4 | სულ – 2 | სულ – 2 | სულ – 2 | სულ – 2 |

წარმოების შემცირების მიზეზით სამუშაო ძალის შემცირება ყველაზე მეტად **ბუღალტრების** ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფს შეეხო – 124 პასუხი. ხოლო სამუშაო ძალის სტრუქტურული ცვლილების გამო სამუშაო ძალის შემცირება შეეხო სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველ **კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერებს** – 19 პასუხი.

# 5: სამუშაო ძალის განვითარება

# საწარმოთა ჩართულობა ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაში







- საკმაოდ დაბალია საწარმოთა ჩართულობა სამუშაოს ძალის განვითარებაში. კვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო 12 თვის განმავლობაში მხოლოდ საწარმოთა 8%-მა (4,069 საწარმო) გადაამზადა დასაქმებულები.
- გადამზადებულთა ჯამურმა რაოდენობამ 33,910 პირი შეადგინა, საიდანაც 55% მსხვილი ზომის საწარმოებში არიან დასაქმებული. მცირე ზომის საწარმოებზე დასაქმებულთა 29% მოდის, ხოლო საშუალოზე – 16%.
- გადამზადებულთა 73% თბილისშია დასაქმებული, აჭარაში 19%, დანარჩენ რეგიონებზე გადამზადებულ დასაქმებულთა მხოლოდ 8% მოდის.
- დასაქმებულთა გადამზადების მიხედვით, ყველაზე აქტიური სექტორები ვაჭრობისა (გადამზადებულთა 25.4%) და მშენებლობის (გადამზადებულთა 21.6% სექტორებია.

## თანამშრომელთა ჩართულობა ტრენინგებში – სულ 33,910

### რეგიონების მიხედვით




### ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით



# საწარმოთა ჩართულობა ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაში

## ძირითადი და ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

### ISCO-ს ძირითადი ჯგუფების მიხედვით

- (2) სპეციალისტები - 37.5%
- (1) მენეჯერები - 29.7%
- (5) მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი - 10.8%
- (3) ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტების - 8.8%
- (4) ოფისის პერსონალი - 4.5%
- (7) ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები - 4.1%
- (8) სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები - 2.3%
- (9) დამწყები კვალიფიკაციის მუშახელი - 2.2%
- (6) სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები - 0.1%

დატრენინგებულ დასაქმებულთა შორის ყველაზე დიდი წილით ძირითადი პროფესიული ჯგუფებიდან გამოირჩევა სპეციალისტები (37.5%), მენეჯერები (29.7%) და მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი (10.8%)

### ISCO-ს ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

- ბუღალტრები - 22.7%
- მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები - 9.6%
- უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები - 4.7%
- გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები - 4.6%
- ფინანსური მენეჯერები - 4.5%
- საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები - 2.4%
- კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები - 2.3%
- მაღაზიის გაყიდვების ასისტენტები - 1.6%
- ადამიანური რესურსების მენეჯერები - 1.4%

დატრენინგებულ დასაქმებულთა შორის ყველაზე დიდი წილით ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან გამოირჩევა ბუღალტრები (22.7%), შემდეგ მოდიან მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები (9.6%), უსაფრთხოებისა სამსახურის თანამშრომლები (4.7%).

# საწარმოების მიერ დაფინანსებული ტრენინგები



კვალიფიკაციის ამაღლება სპეციალობაში
77%



IT (საინფორმაციო კომუნიკაციები)
4%



უცხო ენები
3%



სხვა
16%

საწარმოების მიერ დაფინანსებული ტრენინგები ყველაზე ხშირად მიმართულია სპეციალობაში კვალიფიკაციის ამაღლებაზე (პასუხების 77%). საინფორმაციო კომუნიკაციების უნარების გაუმჯობესებას ემსახურება საწარმოების მიერ დაფინანსებული ტრენინგების 4%, ხოლო უცხო ენების – 3%.

| | |
|---|---|
| 36.9% | სპეციალისტები |
| 30.7% | მენეჯერები |
| 10.0% | მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი |
| 8.9% | ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები |
| 5.0% | ოფისის პერსონალი |
| 4.0% | ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები |
| 2.3% | სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები |
| 2.1% | მარტივი საქმიანობები |

საწარმოების მიერ დაფინანსებული სპეციალობაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაფინანსებული ტრენინგების უმრავლესობა სპეციალისტების ძირითადი პროფესიული ჯგუფისთვის არის განკუთვნილი – 36.9%, შემდეგ მოდიან მენეჯერები – 30.7%. ასევე, ორნიშნა პროცენტული წილით ხასიათდება მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალიც.

ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან გამორჩეულია: ბუღალტრები, გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები და ფინანსური მენეჯერები

# საწარმოთა ცნობიერება სახელმწიფო პროგრამების მიმართ







კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა 36% ფლობს ინფორმაციას ჯანდაცვისა და შრომის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რომლის მიზანია სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა.

საკმაოდ მაღალია ცნობიერება მსხვილი ზომის საწარმოებში – 62%. საშუალო საწარმოთა 49% ფლობს ინფორმაციას დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის შესახებ, ხოლო მცირე ზომის საწარმოებში ანალოგიური მაჩვენებელი – 35%.







იმ საწარმოების 42%, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, მდებარეობს თბილისში, 15% აჭარაში, 10-10% სამეგრელო-ზემო სვანეთსა და იმერეთში.

# საწარმოთა სტრატეგია თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით




კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა 16%-ს (8,752 საწარმო) გააჩნია სტრატეგია/გზამკვლევი თანამშრომელთა განათლებისა და დამატებითი ტრენინგების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ თანამშრომელთა გადამზადებისა და განვითარების სტრატეგია მსხვილი ზომის საწარმოთა 66%-ს აქვს, საშუალო ზომის საწარმოებში ეს მაჩვენებელი 43%-ია, ხოლო მცირე ზომის საწარმოებში 15%.







იმ საწარმოების 56%, რომლებსაც აქვთ სტრატეგია თანამშრომელთა გადამზადების მიმართულებით, მდებარეობს თბილისში, 10-10% სამეგრელო-ზემო სვანეთსა და აჭარაში, 8% იმერეთში, 5% ქვემო ქართლში.

# თანამშრომელთა მოტივაციის მექანიზმები

**მოტივაციის რა მექანიზმებს იყენებთ თანამშრომლების შესანარჩუნებლად?**

- **39%** — არ ვიყენებ არანაირ მექანიზმს
- **26%** — მადლობის გამოცხადება
- **25%** — ფულადი ჯილდოს მიცემა
- **6%** — დაწინაურება
- **4%** — ფასიანი საჩუქრის მიცემა

- თანამშრომელთა მოტივაციის მხრივ განსხვავებული სურათია საწარმოთა ზომის მიხედვით. მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოები თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებისთვის ყველაზე ხშირად მიმართავენ ფულადი ჯილდოს გაცემას. ასევე საკმაოდ აპრობირებულია მათში მადლობის გამოცხადება და დაწინაურება.
- რაც შეეხება მცირე ზომის საწარმოებს ისინი უმეტეს შემთხვევაში არ სარგებლობენ მოტივაციის რაიმე მექანიზმით, თუმცა არის მადლობის გამოცხადებისა და ფულადი წახალისების მაგალითებიც.

# 6: პროფესიული განათლება

# პროფესიული განათლება




## პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით




კვლევის შედეგების მიხედვით, პროფესიული განათლების მქონე ადამიანი საწარმოთა 15%-შია დასაქმებული (7,795 საწარმო). ჯამში ასეთი დასაქმებულების რაოდენობა 72,606 პირს შეადგენს. აქედან 51% მსხვილ საწარმოებშია დასაქმებული, 19% საშუალოში, ხოლო 30% მცირეში.

პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა 55% თბილისზე, შემდეგ მოდის აჭარა - 18%, იმერეთი - 7%, 6-6% ქვემო ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.



# პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით

| | | |
|---|---|---|
| 21% | 15,398 | საბითუმო და საცალო ვაჭრობა |
| 17% | 12,345 | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება |
| 13% | 9,677 | ტრანსპორტირება და დასაწყობება |
| 12% | 8632 | დამამუშავებელი მრეწველობა |
| 11% | 7,748 | მშენებლობა |
| 7% | 5,326 | განათლება |
| 6% | 4,579 | წყალმომარაგება |
| 12% | 8,901 | დანარჩენი სექტორები |

❖პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულების დიდი წილით, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, გამოირჩევა: ვაჭრობა (21%), ჯანდაცვა (17%), ტრანსპორტი (13%), დამამუშავებელი მრეწველობა (12%) და მშენებლობა (11%).

# საწარმოთა თანამშრომლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

## თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (საწარმოთა რაოდენობა და წილი)

| | | |
|---|---|---|
| დიახ | 1,123 | 2% |
| არა | 52,018 | 98% |

## თანამშრომლობა საწარმოთა ზომის მიხედვით (საწარმოთა რაოდენობა და წილი)

| ზომა | რაოდენობა – წილი |
|---|---|
| საშუალო | 205 – 18% |
| მსხვილი | 132 – 12% |
| მცირე | 786 – 70% |

## თანამშრომლობა რეგიონების მიხედვით (საწარმოთა რაოდენობა და წილი)

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 594 | 53% |
| აჭარა | 174 | 16% |
| ქვემო ქართლი | 118 | 10% |
| დანარჩენი რეგიონები | 237 | 21% |

- საწარმოთა მხოლოდ 2%-ს აქვს თანამშრომლობა პროფესიულ სასწავლებლებთან, რაც ჯამში 1,123 საწარმოს ტოლია, აქედან 70% მცირე ზომის საწარმოა.
- ასეთი საწარმოების 53% თბილისში მდებარეობს. დანარჩენი რეგიონებიდან ორნიშნა პროცენტული წილით მხოლოდ აჭარა (16%) და ქვემო ქართლი (10%) გამოირჩევიან.




საბითუმო და საცალო ვაჭრობა

315 28%



ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება

144 13%



დამამუშავებელი მრეწველობა

127 11%



დანარჩენი სექტორები

537 48%

# პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან საწარმოთა თანამშრომლობის ტიპები

## თანამშრომლობის ტიპი

| | |
|---|---|
| სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება | **47%** |
| პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება | **25%** |
| სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის მიღება | **23%** |
| სხვა | **5%** |

- კომპანიები პროფესიულ სასწავლებლებთან უმეტესწილად თანამშრომლობენ სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზების (47%) ფორმატში. თითქმის თანაბარზომიერია მათ მიერ პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში ჩართულობისა (25%) და სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის ხარისხი (23%).
- სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზების მხრივ აქტიურად არიან ჩართულები: ვაჭრობის, ჯანდაცვის, დამამუშავებელი მრეწველობისა და ტურიზმის სექტორები.
- პროფესიული სტანდარტის შემუშავებაში – ვაჭრობის, განათლებისა და ჯანდაცვის სექტორები.
- სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის მხრივ კი – ვაჭრობის, ჯანდაცვისა და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორები.

# პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან საწარმოთა თანამშრომლობის შედეგები

## საწარმოთა რაოდენობა და წილი, რომელთაც დაასაქმეს თანამშრომლობის პირობებში

| დიახ | არა |
|---|---|
| 603<br>54% | 520<br>46% |

**ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება**

1,346 – 30.8%

**დამამუშავებელი მრეწველობა**

785 – 19.9%

**საბითუმო და საცალო ვაჭრობა**

605 13.8%

**სასტუმროები და რესტორნები**

406 – 9.3%

**ინფორმაცია და კომუნიკაცია**

320 – 7.3%

**დანარჩენი სექტორები**

916 – 20.9%

საწარმოებს, რომლებსაც ჰქონიათ თანამშრომლობა პროფესიულ სასწავლებლებთან და ასეთს 1,123 საწარმო წარმოადგენს, მათგან 54%-მა (603 საწარმო) პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის პირობებში დაასაქმა 4,377 ადამიანი.

დასაქმებულთაგან 69.7% თბილისზე, 17.8% აჭარაზე და 12.6% სხვა დანარჩენ რეგიონებზე მოდის.

პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ფორმატში დასაქმების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან: ჯანდაცვის (30.8%, 1346 დასაქმებული), დამამუშავებელი მრეწველობის (17.9%, 785 დასაქმებული), ვაჭრობის (13.8%, 605 დასაქმებული), სასტუმროებსა და რესტორნების (9.3%, 406 დასაქმებული), ინფორმაცია და კომუნიკაციის (7.3%, 320 დასაქმებული) სექტორები. სხვა დანარჩენი სექტორების მიერ დასაქმებულთა მაჩვენებელი ცალკე აღებული ძალზედ მცირეა, ხოლო ჯამში შეადგენს 916 ადამიანს (20.9%).

# თანამშრომლობის საჭიროება/მზაობა/სურვილი

## თანამშრომლობის საჭიროება/მზაობა/სურვილი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

| % | პასუხი | რაოდენობა |
|---|---|---|
| 5% | სურვილი | 2,788 |
| 3% | მზაობა | 1,765 |
| 2% | საჭიროება | 1,125 |
| 34% | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 18,184 |
| 56% | არა | 30,147 |

უახლოეს მომავალში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის სურვილი,, მზაობა ან საჭიროება საწარმოთა 10%-მა გამოთქვა (5%-3%-2%), 56%-ს მსგავსი ტიპის თანამშრომლობაზე უარი დააფიქსირა, ხოლო 34%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

## სამომავლო თანამშრომლობის სასურველი ტიპი




თანამშრომლობის ყველაზე სასურველ ტიპად სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზება (41%) და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება (30%) დაფიქსირდა

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონის და მისდამი ნდობის შეფასება

| შეფასება | რაოდენობა | % |
|---|---|---|
| დადებითად | 12,931 | 24% |
| საშუალოდ | 18,560 | 35% |
| უარყოფითად | 1,671 | 3% |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 19,979 | 38% |

პროფესიული სასწავლებლების დონეს გამოკითხულთა 24% დადებითად, 35% საშუალოდ, 3% უარყოფითად აფასებს, ხოლო მიჭირს პასუხის გაცემა გამოკითხულთა 38%-მა დააფიქსირა;

17% პროფესიულ სასწავლებლებში მიღებული ცოდნას სრულიად ენდობა, 45% მეტნაკლებად, ხოლო 2% არ ენდობა

| % | პასუხი |
|---|---|
| 17% | სრულიად ვენდობი |
| 45% | მეტნაკლებად ვენდობი |
| 2% | არ ვენდობი |
| 36% | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა |

# საწარმოთა აზრი სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების ჩადების პრიორიტეტულობაზე




- გამოკითხული საწარმოების 32%-ს სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტულად პროფესიულ განათლებაში მიაჩნია, 29%-ს უმაღლეს განათლებაში, საშუალო განთლებაში 16%-ს, ხოლო პასუხად „არ ვიცი“ 23%-ის მიერ დაფიქსირდა.

# დამსაქმებლის მიერ პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა შეფასება

## დამატებით გადამზადების საჭიროება

| დიახ | არა | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| 10% | 73% | 17% |
| 779 | 5,695 | 1,320 |

## დამატებით გადამზადების საჭიროება რეგიონების მიხედვით

### თბილისი

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| 20% | 60% | 20% |
| 390 | 1195 | 393 |

### რეგიონები

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| 7% | 77% | 16% |
| 389 | 4500 | 927 |

საწარმოთა 73%-ის (5,695 საწარმო) შეფასებით დასაქმებულ პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დამატებითი გადამზადება არ სჭირდებათ და მხოლოდ 10%-ის შეფასებით ესაჭიროებათ მათ დამატებითი გადამზადება.

- საწარმოების მიერ მაღალი შეფასება დაიმსახურა მათთან დასაქმებული პროფესიული განათლების მქონე თანამშრომლების ტექნიკური უნარ-ჩვევების ცოდნამ, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოში/ორგანიზაციაში გამოყენებულ კონკრეტულ აღჭურვილობასთან ან პროცესებთან.

- კომპანიებმა დაბალი შეფასება მისცეს სამუშაო ძალის ICT უნარებსა და პრობლემის მოგვარების უნარებს.

# 7: დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

# საწარმოში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები




საწარმოთა 8%-ს (3,989 საწარმო) ჰყავს უცხო ქვეყნის მოქალაქე დასაქმებული, ჯამში 41,359 ადამიანი, რაც მთლიანი დასაქმების 5%-ია;

დასაქმებულ უცხოელთა რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 12%-ით ნაკლებია.

დასაქმებულ უცხოელთა ნახევარზე მეტი მცირე ზომის საწარმოებზე მოდის - 58% (23,784 დასაქმებული), მსხვილი ზომის საწარმოებში 38% (15,901 დასაქმებული), ხოლო ყველაზე ცოტა - 4% (1,674 დასაქმებული) საშუალო ზომის საწარმოებში.

დასაქმებულ უცხოელთა 76% აჭარის რეგიონზე, მოდის, თბილისზე კი - 19%. არც ერთი დანარჩენი რეგიონის წილი ინდივიდუალურად არ აღემატება 1%-ს (ჯამში 4%).

## დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები საწარმოთა ზომის მიხედვით




## დასაქმებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეების განაწილება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით



ტრანსპორტირება და დასაწყობება

16,297 - 39%



დამამუშავებელი მრეწველობა

14, 195 - 34%



მშენებლობა

2,960 - 7%



სასტუმროები და რესტორნები

2,691 - 7%



დანარჩენი სექტორები

5,216 13%

2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა და შეადგინა 14,195 ადამიანი (5,559 დასაქმებულით ნაკლები). სხვა დანარჩენ შემთხვევაში, 2018 წლის მსგავსად უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადად დასაქმებულები იყვნენ ტრანსპორტის (39.4%, 16,297 დასაქმებული), დამამუშავებელი მრეწველობისა (34.3% 14,195 დასაქმებული), მშენებლობისა (7.2%, 2960 დასაქმებული) და ტურიზმის (6.5%, 2691დასაქმებული) სექტორებში.

# საწარმოში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

## ძირითადი და ელემენტარული პროფესიული ჯგუფების მიხედვით

### ISCO-ს ძირითადი ჯგუფების მიხედვით

| | | |
|---|---|---|
| მენეჯერები | 28,915 | 70% |
| სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები | 5,526 | 13% |
| ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები | 2,754 | 7% |
| ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები | 1,555 | 4% |
| სპეციალისტები | 1,165 | 3% |
| მომსახურებისა და გაყიდვების სფეროს პერსონალი | 581 | 1% |
| ოფისის პერსონალი | 483 | 1% |
| მარტივი საქმიანობები | 378 | 1% |

### ISCO-ს ელემენტარული ჯგუფების მიხედვით

| | | |
|---|---|---|
| მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები | 20,862 | 50% |
| სატვირთო ავტომობილების მძღოლები | 5,344 | 13% |
| სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი მომსახურებების მენეჯერები | 3,844 | 9% |
| დამამუშავებელი მრეწველობის მენეჯერები | 2,509 | 6% |
| ბიზნეს მომსახურებების აგენტები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 2,233 | 5% |
| მშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 673 | 2% |
| გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები | 366 | 1% |
| კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები | 302 | 1% |

- 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით უცხო ქვეყნის მოქალაქეები ყველაზე ფართოდ იყვნენ წარმოდგენილები: მენეჯერების (70%, 28915 დასაქმებული), მანქანების ოპერატორებისა (13%, დასაქმებული) და ტექნიკოსების (7%, 2754 დასაქმებული) პოზიციებზე. კერძოდ, ელემენტარული ჯგუფების მიხედვით ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებული იყო: მმართველი დირექტორების (20,862 დასაქმებული), სატვირთო ავტომობილის მძღოლების (5,344 დასაქმებული), მომსახურების სფეროს მენეჯერების (3,844 დასაქმებული), დამამუშავებელი მრეწველობის მენეჯერებისა (2,509 დასაქმებული) და ბიზნეს მომსახურების აგენტების (2,233 დასაქმებული) თანამდებობებზე.
- 2018-2019 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების სტრუქტურა შინაარსობრივად არ შეცვლილა. თუმცა 2019 წელს გასულ წელთან შედარებით 5,497 ადამიანით (16%) შემცირდა მენეჯერულ თანამდებობებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა. აღნიშნული განაპირობა 2019 წელს ფინანსური მენეჯერის თანამდებობაზე დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების საგრძნობმა კლებამ (შემცირდა 5,443 ადამიანით).

# უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების ძირითადი მიზეზები

- **63%** საწარმოს ყავს უცხოელი დამფუძნებელი /მენეჯმენტი
- **21%** საწარმო არის უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი/ წარმომადგენლობა
- **7%** ბაზარზე არ არის საჭირო კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების ადგილობრივი მუშახელი
- **1%** უცხო ქვეყნის მოქალაქეები იღებენ დაბალ ანაზღაურებას
- **8%** სხვა

❖ კვლევის შედეგების მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების ძირითადი მიზეზი საწარმოს უცხოელი დამფუძნებელი/მენეჯმენტია – 63%. შემდეგ მოდის „საწარმო არის უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი/ წარმომადგენლობა“ – (21%).

❖ გამოკითხულთა 7%-ს აზრით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების მთავარი მიზეზი ადგილობრივ ბაზარზე საჭირო კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების მუშახელის არარსებობაა.

# 8: დამწყები მუშახელის დასაქმება

# პირველი სამუშაოს მაძიებლის დასაქმება

## ბოლო 12 თვის განმავლობაში დაუქირავებია თუ არა თქვენს საწარმოს/ორგანიზაციას პირველი სამუშაოს მაძიებლები

| დიახ | არა |
|---|---|
| 3,152<br>6% | 49,989<br>94% |

24,988 დასაქმებული

## პირველი სამუშაოს მაძიებლების დასაქმება განათლების დონის მიხედვით

| საშუალო განათლებით | ტექნიკური ან პროფესიული განათლებით | უმაღლესი განათლებით |
|---|---|---|
| 7,378<br>30% | 5,281<br>21% | 12,329<br>49% |

## პირველი სამუშაოს მაძიებლების დასაქმება საწარმოთა ზომის მიხედვით

| | |
|---|---|
| მსხვილი | 14,901<br>60% |
| საშუალო | 2,745<br>11% |
| მცირე | 7,342<br>29% |

- კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა მხოლოდ 6% (3,152 საწარმო) ჰყავდა დასაქმებული ბოლო 12 თვის განმავლობაში პირველი სამუშაოს მაძიებელი.
- დასაქმებულთა რაოდენობამაც 24,988 პირი შეადგინა. დიდი წილი უმაღლესი განათლების (49%, 12,329 დასაქმებული) მქონე ადამიანებზე მოდის. მას მოჰყვება დასაქმებული პირველი სამუშაოს მაძიებლები სკოლისა (30%, 7,378 დასაქმებული) და პროფესიული (21%, 5,281 დასაქმებული) სასწავლებლის დამთავრებით.
- პირველი სამუშაოს მაძიებლების დასაქმების მხრივ გამოირჩევა მსხვილი (60%, 14,901 დასაქმებული) და მცირე ზომის (29%, 7,342 დასაქმებული) საწარმოები. რაც შეეხება საშუალო ზომის საწარმოებს, მათ მიერ დასაქმებული პირველი სამუშაოს მაძიებლების ხვედრითი წილი 11% (2745 დასაქმებული) შეადგენს.

# პირველი სამუშაოს მაძიებლის დასაქმება

## დასაქმებული პირველი სამუშაოს მაძიებლების განაწილება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით

| საქმიანობა | რაოდენობა - წილი |
|---|---|
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა | 9,011-36% |
| საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | 3,527-14% |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 2,405-10% |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 1,956-8% |
| დანარჩენი სექტორები | 8,090—32% |

პირველი სამუშაოს მაძიებლის დასაქმებით, ყველაზე მეტად საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა. სწორედ ამ სექტორშია დასაქმებული პირველი სამუშაოს მაძიებელთა 36% (9,011 დასაქმებული), შემდეგ მოდის საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები – 14% (3,527 დასაქმებული), ინფორმაცია და კომუნიკაცია – 10% (2,405 დასაქმებული) და დამამუშავებელი მრეწველობა – 8% (1,956 დასაქმებული).

## დასაქმებული პირველი სამუშაოს მაძიებლების განაწილება რეგიონების მიხედვით



# პირველი სამუშაოს მაძიებლის დასაქმება – დაქირავებულთა შეფასება




პირველი სამუშაოს მაძიებლები სკოლის დამთავრებით




პირველი სამუშაოს მაძიებლები ტექნიკური ან პროფესიული სასწავლებლის დამთავრებით




პირველი სამუშაოს მაძიებლები უნივერსიტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრებით

5 ბალიანი შეფასებიდან, საწარმოებმა საშუალოდ 2.8 ქულა მისცეს პირველი სამუშაოს მაძიებლებს სკოლისა და პროფესიული სასწავლებლის დამთავრებით. ყველაზე დაბალი, საშუალოდ 2.5 ქულა მისცეს უმაღლესის დამთავრებით პირველი სამუშაოს მაძიებლებს.

# მადლობა ყურადღებისთვის